თანამშრომლობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი "25" "06" 2013 წ.

ერთი მხრივ, **თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი** (შემდგომში "უნივერსიტეტი") მისი რექტორის **ვალენტინა საყვარელიძის** სახით, და მეორე მხრივ, **შპს „მოგზაურთა კლუბი"** (შემდგომში "მხარე"), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზურაბ ვაშალომიძეს** სახით, ვდებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომლის მიზანია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე რეალიზებული ბიზნესის ორგანიზაციის და მართვის პროგრამის სტუდენტთა საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფის ხელშეწყობა ამავე საგანმანათლებლო პროგრამის **საწარმოო** პრაქტიკის განხორციელების გზით.

მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული *საბაკალავრო* პროგრამით გათვალისწინებული (სასწავლო/**საწარმოო**) პრაქტიკის სილაბუსის შესაბამისად, რომელიც ამ ხელშეკრულების დანართი და განუყოფელი ნაწილია, ამავე ფაკულტეტის *ბაკალავრიატის* სტუდენტებისათვის პრაქტიკის შემადგენელი ნაწილის - საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფა სილაბუსით განსაზღვრული საათობრივი დატვირთვით;

საწარმოო პრაქტიკა გათვალისწინებულია(10 კრედიტი, სულ პრაქტიკა 175 საათი):

1.1.1 ტურისტული პროდუქტის თეორია (სულ პრაქტიკა 50 საათი) რაც გულისხმობს პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებას:

- ტურისტული პროდუქტის წყაროები და დონეები;
- ტურისტული პროდუქტის შემადგენლობა;
- ტურისტული პროდუქტის მომხმარებელი.

1.1.2. მასპინძლობა და მასთან დაკავშირებული სერვისები (სულ პრაქტიკა 75 საათი):

- *განთავსების ინდუსტრია;*
- *კვების ინდუსტრია;*
- *შეხვედრების ინდუსტრია;*
- *სასტუმრო ბიზნესი.*

1.1.3. *ტურიზმის მოთხოვნა, მიწოდება, პოლიტიკა, დაგეგმვა და განვითარება (სულ პრაქტიკა 50 საათი):*

- მიწოდების კომპონენტები;
- მასპინძლობის სულისკვეთება და რესურსები;
- ტურიზმის ეკონომიკური გავლენა.

1.2. საწარმოო პრაქტიკის გასავლელად, მხარე უზრუნველყოფს სტუდენტი ჩართოს რეალურ საქმეთა წარმოებაში, რისთვისაც მხარე გამოყოფს უფლებამოსილ პირს (მენტორს), რომელიც უშუალო ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტის პროფესიულ საქმიანობას;

1.3 საწარმოო პრაქტიკის გავლას საერთო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის წარმომადგენელი - სილაბუსის ავტორი, შესაბამისი ფაკულტეტის პრაქტიკის ხელმძღვანელი;

1.4. სტუდენტი აწარმოებს საწარმოო პრაქტიკის დღიურს და ადგენს პრაქტიკის ანგარიშს საგანმანათლებლო პროგრამის მე-XI პუნქტის შესაბამისად;

1.5. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) მოსამზადებელი შეხვედრა (უნივერსიტეტი);

ბ) სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ (უნივერსიტეტი);

გ) პრაქტიკის ადგილის გაცნობა მენტორის მიერ (მხარე);

დ) სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური ჩანაწერების წარმოება(მხარე);

ე) სტუდენტის ზედამხედველობა მენტორის მიერ(მხარე);

ვ) სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ, პრაქტიკის შუალედური მიმოხილვა/შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ(უნივერსიტეტი);

ზ) ფინალური(დასკვნითი) შეფასება(პრაქტიკის დაცვა) (უნივერსიტეტი).

1.6. საწარმოო პრაქტიკის ხანგრძლივობაა 7 კვირა , კვირაში 25 სამუშაო საათი, დღის მანძილზე 5 საათი;

2. ანაზღაურება

უნივერსიტეტი მხარეს გადაუხდის საწარმოო პრაქტიკის გავლის უზრუნველყოფის მომსახურების მათ შორის შეთანხმებულ საფასურს - 250 ლარის ოდენობით თვეში, 1 სტუდენტზე, მხარის მიერ გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურისა და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

3. ხელშემკვრელი მხარეების უფლება-მოვალეობები:

3.1. უნივერსიტეტი ვალდებულია:

ა) იმოქმედოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) გადაუხადოს მხარეს ამ ხელშეკრულების მე-2 პუნქტში გათვალისწინებული თანხა, ამავე პუნქტით განსაზღვრული წესითა;

გ) გადასცეს მხარეს იმ პირთა /მასწავლებელთა(პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და პროფესიულ სტუდენტთა/ სია, რომელთაც ენიჭებათ დაშვება და მხარის მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობებით სარგებლობის უფლება;

დ) დროულად აცნობოს მხარეს შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილის) ცვლილების თაობაზე;

ე) აანაზღაუროს მხარის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისათვის უნივერსიტეტის წარმომადგენელთა დადასტურებული ბრალით მოყენებული მატერიალური ზარალი სრულად.

3.2. მხარე ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად, ხარისხიანად, სრულყოფილად და დროულად, უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) უზრუნველყოს საგანმანათლებლო მიზნებით ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე პროფესიული სტუდენტის დაშვება და არ დაუშვას უნივერსიტეტთან შეთანხმებული გრაფიკის (ცხრილის) მიხედვით, უნივერსიტეტთან შეთანხმებული სიით უნივერსიტეტის წარმომადგენელთა ამ ბაზასთან დაშვების შეზღუდვა;

გ) შეუქმნას უნივერსიტეტის წარმომადგენლებს /მასწავლებელთა(პრაქტიკის ხელმძღვანელთა) და პროფესიულ სტუდენტთა/ საწარმოო პრაქტიკის გავლის სათანადო და უსაფრთხო პირობები, უზრუნველყოს ისინი საჭირო ინვენტარით;

4. ხელშეკრულების ვადა

4.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება იდება: 2013 წლის „25" ივნისიდან, 2014 წლის „25" ივნისამდე.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

4.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობებითა და წესით.

4.4.ხელშეკრულება გრძელდება ავტომატურად იმავე ვადით, თუ ერთ–ერთი მხარე 1 თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს ხელშეკრულების მოშლის განზრახვის თაობაზე.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

ამ ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისათვის, მხარეს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად;

6. განსაკუთრებული პირობები

პირობები, რომელთა ხელშეკრულებაში მითითებასაც მხარეები მიზანშეწონილად მიიჩნევენ:

7. დავები

მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ინახება უნივერსიტეტში, მეორე - მხარესთან. ორივე ეგზემპლარს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

1.უნივერსიტეტი: შპს "თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი"
ქ. თბილისი, 0144 ჩოლოყაშვილის ქ.№53
ს.ს. „თიბისი ბანკი"
საბანკო კოდი–TBCBGE 22
ანგარიშსწორების ანგარიში–GE44 TB40 2553 6080 1000 05
ვალენტინა საყვარელიძე
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ. ა

2. მხარე შპს "მოგზაურთა კლუბი"
204459095
ლეონიძის ქ. №4
ს.ს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE17BG0000000200118100
ზურაბ ვაშალომიძე
(ხელმომწერი პირის გაშიფვრა)
ბ.ა.